ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი №11

2023 წლის 4 ნოემბერი ზუგდიდი

სხდომას ესწრებოდნენ: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ფარცვანია კახაბერი, ბულია ნინო, ხუფენია თეონა, ნაჭყებია მურმანი, ფიფია ვაჟა, ბეჭვაია ხათუნა და ჯახია ჟანა

სხდომას არ ესწრებოდნენ: გვილია იაროსლავი, დაგარგულია მამუკა, ხუფაცარია ნანა, შელია გიორგი, მარიამ ყალიჩავა

დღის წესრიგი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა/განხილვა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის პროექტის განხილვა

სხდომა გახსნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ თეონა ხუფენიამ და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, მრჩეველთ საბჭოს წევრებიდან ვინ ესწრებოდა სხდომას და ვინ ვერ ესწრებოდა. დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრების გარდა ესწრებოდა მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე კაკავა, მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსები და თანამშრომლები

ნანი მიქენაიამ საფინანსო, საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ ილაპარაკა მომავალი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის და მომდევნო სამი წლის პრიორიტეტებია:**

* მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია; დასუფთავება და გარემოს დაცვა

* მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

* სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა

* კულტურისა და სპორტის განვითარება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ნანი მიქენაიამ ისაუბრა 2024 წლისთვის დაგეგმილ ბიუჯეტის პროექტზე.

მომავალ წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა პროექტით წარმოდგენილია 64000.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც მ/წლის საწყისი ბიუჯეტის მოცულობას 57882.2 ათას ლარს 6117.8 ათასი ლარით აღემატება. პროცენტულ მაჩვენებელში ზრდა შეადგენს 10.6%-ს

საერთო მოცულობის 85.7% თანხით 54840.3 ათასი ლარი შეადგენს საგადასახადო შემოსავლებს. ამასთან, ნიშანდობლივია რომ მ/წლის საწყისი ეტაპის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლთან (46133.3 ათასი ლარი) ზრდა შეადგენს 8707.0 ათას ლარს. სხვა შემოსავლები პროექტით წარმოდგენილია 5344.1 ათასი ლარის ოდენობით, რაც მიმდინარე წლის მაჩვენებელზე 2274.8 ათასი ლარით ნაკლებია. რაც გამოიწვია სათამაშო ბიზნესის-ტოტალიზატორის ფუნქციონირების შეწყვეტამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ჯარიმები პროგნოზირდება 2.833.1 ათასი ლარის ოდენობით. აქედან 2.000.0 ათასი ლარი შეადგენს საგზაო ჯარიმებიდან მისაღებ შემოსავალს.

ინფრასტრქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის დარგი მთლიანობაში წარმოდგენილია სულ **14.713.0 ათასი** ლარის მოცულობით და ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია სხვა პრიორიტეტებს შორის.

საგზაო ინფრასტრუქტურაზე თანხები პროექტით იზრდება **110.0** ათასი ლარით და წარმოდგენილია **600.0** ათასი ლარით.

150.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ხიდების რეაბილიტაცია- მშენებლობაზე

გარე განათების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯები და პროექტით წარმოდგენილია **1.500.0** ათასი ლარით.

700.0 ათას ლარს ითვალისწინებს პროექტი წყლის სისტემების განვითარებაზე.

300.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებისთვის.

კეთილმოწყობის პროგრამა შესაბამისი ა(ა)იპის ბაზაზე იზრდება **130.0** ათასი ლარით, და პროექტით წარმოდგენილია 4.900.0 ათასი ლარით. მათ შორის მწვანე ბიუჯეტისათვის განსაკარგავი თანხა შეადგენს 100.0 ათას ლარს. **მუნიციპალური აქტივების კეთილმოწყობისა და შეძენის პროგრამა** პროექტით გათვალისწინებულია **648.0** ათასი ლარის ოდენობით. რაც ძირითადში ითვალისწინებს სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სხვადასხვა შენობების თუ საოფისე ფართების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას.

რეგიონალური ფონდებიდან გამოსაყოფი თანხებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების ოდენობა გათვალისწინებულია **620.0** ათასი ლარის, საპროექტო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის ხარჯები **320.0** ათასი ლარის ოდენობით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა წარმოდგენილია 250.0 ათასი ლარის ოდენობით.

120.0 ათასი ლარი გამოიყოფა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებისათვის.

დასუფთავების და გარემოს დაცვის პროგრამები 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია **8.410.0.0** ათასი ლარის მოცულობით და მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება **710.0** ათასი ლარით

მიკრო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გათვალისწინებულია სამოქალაქო ბიუჯეტის **პროგრამა 1.000.0** ათასი ლარით

შპს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS"-ის ფინანსური ხელშეწყობა საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით განსაზღვრულია **800.0** ათასი (შვიდას ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით.

ასევე საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით **ბოტანიკური ბაღის** ხელშეწყობის პროგრამა განისაზღვრა **1.050.0** ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტით განათლების პროგრამა წარმოდგენილია **12.805.0** ათასი ლარის ოდენობით.

განათლების სფეროში ძირითადი **88.1%** პროცენტი არის **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა,** რომელიც პროექტით შეადგენს **11.100.0** ათას ლარს. პროექტით **1.065.0** ათასი ლარით არის წარმოდგენილი სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. **300.0** ათასი ლარი გათვალისწინებულია განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების ხელშეწყობის, **40.0** ათასი ლარი შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობის, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღ4ონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამისთვის კი **100.0** ათასი ლარის გამოყოფა. **სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** პროექტით წარმოდგენილია **1.570.0** ათასი ლარით. ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა წარმოდგენილია **570.0** ათასი ლარის ოდენობით

კულტურის სფეროს განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის პროექტით გათვალისწინებულია **3.905.0** ათასი ლარის გამოყოფა. მათ შორის **550.0** ათასი ლარი გათვალისწინებულია კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად. **საბიბლიოთეკო დარგის** განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებულია **950.0** ათასი ლარის გამოყოფა. რაც მიმდინარე წელთან შედარებით **71.8** ათასი ლარის ოდენობით ზრდას ითვალისწინებს. **130.0** ათასი ლარი გამოიყოფა რელიგიის ხელშეწყობისათვის. პროგრამა ემსახურება რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას

2024 წლის პროექტით **ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვის** გათვალისწინებულია **4945.0** ათასი ლარის გამოყოფა.

.**საზოგადოებრივი ჯანდაცვის** პროგრამა პროექტით გათვალისწინებულია **450.0** ათასი ლარის ოდენობით,

სამედიცინო პროგრამის დაფინანსება წარმოდგენილია **1.650.0** ათასი ლარით.

სოციალური დაცვის პროგრამები 2024 წლისათვის მთლიანობაში პროექტით წარმოდგენილია **2.785.0** ათასი ლარის ოდენობით პროგრამა აერთაინებს **14** სხვადასხვა ქვეპროგრამას.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შესანახი ხარჯების მოცულობა პროექტით შეადგენს **12.039.0** ათას ლარს, რაც მთლიანი ბიუჯეტის მოცულობის **18.8** პროცენტს შეადგენს. პროექტით საკრებულოს ხარჯები წარმოდგენილია **2.234.0** ათასი ლარით, ხოლო მერიის და ადმინისტრაციული ერთეულების შესანახი ასიგნება **9.805.0** ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტით წარმოდგენილი პროექტის საერთო მოცულობა **64.000.0** ათასი ლარი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებით შემდეგია:

1. 9.471.8 ათასი ლარი შრომის ანაზღაურების ფონდი;
2. 4.975.9 ათასი ლარი საქონელი და მომსახურება;
3. 1.451.3 ათასი ლარი პროცენტები;
4. 33.430.0 ათასი ლარი სუბსიდიები;
5. 75.0 ათასი გრანტები;
6. 3.291.0 ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფა;
7. 2.702.3 ათასი ლარი სხვა ხარჯები;
8. 6.391.0 ათასი ლარი არაფინასური აქტივების ზრდა;

2.211.7 ათასი ლარი ვალდებულებათა კლება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა ნუგზარ სარიამ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმასთან დაკავშირებით, თქვა რომ ეს არის დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოს, მისი სამსახურების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრასა და მართვას. შესაბამისად, მასში დეტალურადაა იდენტიფირცირებული სხვადასხვა ორგანოების ინსტიტუციური ვალდებულებები და მათი რესურსები, საინფორმაციო პროცესები და ოპერატიული მოქმედებების ჩამონათვალი ყველა ჩართული მხარისათვის. ამასთან, სავარაუდო მოვლენებზე, საგანგებო სიტუაციებზე განსაზღვრული სცენარების მიხედვით, განისაზღვრება შესაძლო საგანგებო სიტუაციები და სახიფათო მოვლენები, რაც საშუალებას იძლევა ჩართული მხარეებისათვის განსაზღვრონ სამომავლო ქმედებები.

გეგმის მიზანია ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე მუნიციპალიტეტის ორგანოს დროული, კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფისათვის

შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა. საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი საგანგებო შტაბი კოორდინაციას გაუწევს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე სუბიექტების საქმიანობას. გეგმით განსაზღვრულია შტაბის შემადგენლობა და წევრების ფუნქცია-მოვალეობები. მოცემულია რისკის შეფასების მეთოდოლოგია, შეფასების შედეგები და აღწერა.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ფარცვანიამ, მურმან ნაჭყებიამ, ვაჟა ფიფიამ, თეონა ხუფენიამ და ხათუნა ბეჭვაიამ.

კახაბერ ფარცვანიამ ისაუბრა, იმაზე რომ ბაღის პედაგოგებისთვის 100 ლარით ხელფასების ზრდა არასაკმარისია. ამიტომაც არ არის ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი, სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობა, აგრეთვე, ისაუბრა სახელოვნებო სკოლებთან დაკავშირებითაც, თქვა რომ ძალიან ცოტა თანხაა გათვალისწინებული, მომავალი წლის ბიუჯეტით, თუ უფრო მეტად არ გაიზრდება, სახელოვნებო სკოლის პედაგოგებისთვის ხელფასების მომატება, სკოლები სპეციალისტების გარეშე დარჩებიან. რადგან სკოლებიდან სპეციალისტების გადინება მოხდება. 10 წლის შემდეგ სახელოვნებო სკოლებში პედაგოგები არ იქნებიან. ისაუბრა იმაზეც, რომ ზუგდიდში ერთადერთი უნივერსიტეტია და გასულ წელთან შედარებით მარტო 10000 ლარით ბიუჯეტის გაზრდა არის სირცხვილი. დასვა კითხვა, ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილია 570 ლარი, გარკვეული შედეგი მაინც უნდა იყოს. რადგან შედეგი არ არის,ხომ შეიძლება გარკვეული თანხები დააკლდეს ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს და დაზოგილი თანხა მოხმარდეს ბაღების აღმზრდელების სახელფასო ფონდს, სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისთვის ხელფასების მომატებას. კახა ფარცვანია მიესალმება მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული ადამიანების ხელფასების 10% ზრდას. აგრეთვე, თავი აზრი გამოხატა ჭკვიანი კამერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით და თქვა რომ დროული გადაწყვეტილებაა.

ხათუნა ბეჭვაია დასვა კითხვა, იგეგმება თუ არა ქუჩების რეაბილიტაცია ზუგდიდში. რადგან ძალიან ბევრი ქუჩა, მძიმე მდგომარეობაშია.

თეონა ხუფენიამ დასვა კითხვა, იმასთან დაკავშირებით რომ რეაბილიტირებული ქუჩების კვეთაზე საშინელი მდგომარეობაა, არის თუ არა მომავალი წლის ბიუჯეტით საკითხის მოგვარება გათვალისწინებული

თენგის შანავამ გასცა პასუხი, რომ მომავალი წელს იგეგმება 53 ქუჩის რეაბილიტაცია და ქუჩების კვეთაზე არსებული პრობლემების მოგვარება.

მურმანან ნაჭყებიამ ილაპარაკა საზღვრისპირა სოფლებში არსებულ პრობლემებზე. კერძოდ, აუცილებელია დაბალი ზონის სოფლებში ქარსაცავების მოწყობა, როგორც ადრე იყო, რადგან ის იცავდა მიწის ტენიანობას და ეროზიისგანაც იცავდა. არ არის გარე განათება მოწესრიგებული საზვრისპირა სოფლებში და ამისთვის აუცილებელია თანხის გამოყოფა. სოფელ კოკში, აუცილებელია ობელისკის რესტავრაცია და სკვერის მოწყობა, რადგან ობელისკი 110 წლის წინ არის დადგმული, ისტორიული მნიშველობისაა და სავალალო მდგომარეობაშია. ილაპარაკა იმაზეც, რომ მძლეოსნობის ბილიკები არ არის მუნიციპალიტეტში და ამაზე უნდა იფიქროს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა. აუცილებელია ქუჩების ნუმერაცია, რადგან ეს საკითხი, მოსაგვარებელია.

თენგო შანავამ უპასუხა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარე განათების მოწყობა, საზღვრისპირა სოფლებში და იგეგმება ქუჩების ნუმერაცია.

თეონა ხუფენია გამოთქვა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანმანათლებო და სამეცნიერო პროგრამებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხები, შეუძლია თუ უნივერსიტეტს ჩართვა და რა იგულისხმება ამ პროგრამებში.

ლაშა ადეიშვილმა უპასუხა რომ პრაქტიკული ხასიათის პროგრამების დაფინანსება მოაზრება. კერძოდ, მიწის კვლევა, სამაცივრე შენობების მოწყობა და ა.შ

თეონა ხუფენიამ განაცხადა, რომ მის სახელზე შემოსული იყო განცხადება, ხანდაზმულთა დღის ცენტრის კოორდინატორის ნანა შონიას სახელით. განცხადებაში იყო თხოვნა შუამდგომლობისა, ცენტრში დასაქმებული ორი თანამშრომლისთვის ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით

ნინო სხულუხიამ განაცხადა რომ საკითხი განხილული იქნება, მერის პირველ მოადგილესთან კონსტანტინე კაკავასთან.

სხდომის მდივანი /ხ. ბეჭვაია/